

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
შპს არ ემ ჯი აურამაინის
ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს
მონყობის და ექსპლუატაციის პროექტის
სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

19 ნოემბერი, 2020

წარმოგიდგინებ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2020 წლის 28 ოქტომბერს [გამოქვეყნებულ](#) შპს არ ემ ჯი აურამაინის ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მონყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე.

ალტერნატივების ანალიზი

1. მე-3 ქვეთავში მოცემულია არაქმედების ალტერნატივა, რომელიც არ არის სათანადოდ განხილული. არ არის დასაბუთებული რა სარგებელს ან ზიანს მოიტანს პროექტი და რა აუცილებელი პირობაა მისი განხორციელებისათვის. საერთოდ არ არის შეფასებული პროექტიდან მიღებული სარგებლისა და ზიანის ანალიზი. ამის ფონზე, ქვეთავის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა, რომ „საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მხრიდან გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების პირობებში პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი მხარეები, გაცილებით საგულისხმო იქნება, ვიდრე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება“- რაც, ასევე დაუსაბუთებელია.

ცალსახად ნათელია, რომ კომპანია ნებართვა სჭირდება იმისთვის, რომ უკვე ლიცენზიით აღებული პირობები შეასრულოს, შესაბამისად პროექტის არ განხორციელების ალტერნატივას საერთოდ არ განიხილავს.

2. სკოპინგის ანგარიშის ამავე თავშია განხილული ადგილმდებარეობის ალტერნატივები. სულ წარმოდგენილია ოთხი ალტერნატიული ვარიანტი. როგორც ანგარიშიდან ირკვევა „ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზისას განხილული იქნა ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორის - ადგილობრივი მოსახლეობის დაშორების მანძილები. ამ თვალსაზრისით სამივე ალტერნატიული ტერიტორია თითქმის ერთნაირი მანძილით არის დაშორებული დასახლებული პუნქტებიდან“, კონკრეტულად რამდენია დაშორებები თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში უცნობია, ამასთან ნახაზი 3.2. -ზე დატანილია სამივე ადგილმდებარეობა და აშკარად ჩანს, რომ მოსახლეობიდან დაშორებებიც განსხვავებულია და უფრო ახლოს მოსახლეობასთან შერჩეული ადგილი მდებარეობს.

როგორც დასკვნაშია მითითებული, მეოთხე ალტერნატიული ვარიანტი გარემოსდაცვითი ფაქტორის გათვალისწინებით იქნა შერჩეული, რადგან პირველი, მეორე და მესამე ალტერნატიული ვარიანტების შერჩევის შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ლანდშაფტის ცვლილებას, ტყით დაფარული ფართობების შემცირებას, რაც დამატებით დატვირთვას გამოიწვევდა. ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვისას საერთოდ არ არის მადნის მიმღები მოედნიდან (რომელიც ასევე საწარმოს შემადგენელი ნაწილია) გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების საკითხები მხედველობაში მიღებული. ქვეთავიდან ისე ჩანს, თითქმის შერჩეული ალტერნატიული ვარიანტი მოლოდინით შენობა ნაგებობებით განთავსებულ ტერიტორიას მოიცავდეს. ანგარიშის შემდეგი ქვეთავებიდან კი ირკვევა, რომ მადნის

მიმღები მოედნების განთავსება დაგეგმილია მიწის ნაკვეთზე, რომელიც დაფარულია მცენარეული საფარით და საჭირო იქნება ხე-მემცენარეების მოჭრა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ხევის შევსება და ზედაპირის მოსწორების სამუშაოების გატარება. ეს საკითხი ალტერნატივების განხილვის დროს, საერთოდ არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, უკვე გაუგებარია უკვე არჩეული ალტერნატიული ვარიანტის უპირატესობა რაში მდგომარეობს.

ნარჩენების მართვა

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზა ეტაპზე მოხდება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და მისი წარმოდგენა. ამ ეტაპზე მხოლოდ კუდებთან დაკავშირებული საკითხი არის დოკუმენტში მოცემული და ისიც არასრულყოფილია.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „კუდებში დასინჯვის შემდგომ ოქროს დაბალი შემცველობის შემთხვევაში კუდები გადაიზიდება და დროებით დასაწყობდება ბექთაქარის საბადოს ტერიტორიაზე, შემდგომში, საბადოს გამონამუშევარი სიცარიელების შევსების მიზნით (მაღაროს მდგრადობის უზრუნველსაყოფად)“. დასაზუსტებელია, რა რაოდენობის ნარჩენის განთავსება არის შესაძლებელი ბექთაქარის საბადოს ტერიტორიაზე და რამდენი ხნით („დროებითში“ - რა პერიოდი იგულისხმება). ყურადსაღებია, რომ კარიერების შევსებას და საბოლოო რეკულტივაციას წლები სჭირდება, შესაბამისად, აუცილებელია ამ საკითხის შესწავლა და დეტალურად წარმოდგენა.

ტრანსპორტირების ზემოქმედება

როგორც ანგარიშიდან ირკვევა, მადნის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება არსებული გზები, რომლებიც მდებარეობს სოფლების: ბერთაკარი, ძეძნარიანი, ძველი ქვეში, ქვეში, ჭავჭავიანი, კიანეთი და დაბა კაზრეთის მიმდებარედ. ანგარიშშივე ვკითხულობთ, რომ საპროექტო საწარმომდე მადნის ტრანსპორტირების გზების ალტერნატიული ვარიანტები არ განხილულა. 6.1 ქვეთავში ჩამოთვლილია ტრანსპორტირებისას მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები. ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებას გზების მორწყვა წარმოადგენს. ქვეთავში ვკითხულობთ „მადნის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება არსებული გზა, შესაბამისად ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს აღნიშნული გზის მორწყვა_ ხოლო მორწყვის ინტენსივობა დადგენილია ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად და დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ხორციელდება მორწყვა/მორეცხვა დროის კონკრეტულ ინტერვალებში. საქმიანობის განხორციელებამდე შემუშავდება მორწყვის განახლებული გრაფიკი“. დღეის მდგომარეობით კომპანია ძირითადად ახორციელებს მხოლოდ დაბა კაზრეთში გზის მორწყვას, სხვა ტერიტორიებზე გზების მორწყვა არ ხდება. ტრანსპორტირებისთვის კომპანიამ უნდა გამოიყენოს დაახლოებით ხუთ სოფელზე გამავალი გზა. აუცილებელია მითითებული იყოს, რა ღონისძიებები განხორციელდება ტრანსპორტირების მთელ მარშრუტზე.

ამასთან, აუცილებელია დადგინდეს, ტრანსპორტირების გეგმა/გრაფიკი. დაახლოებით რა რაოდენობის მანქანის გადაადგილება იგეგმება დღის/ღამის განმავლობაში. იგეგმება თუ არა ღამის განმავლობაში გადაადგილების შეზღუდვა.